

სარჩევი

2008 წლის აგვისტოს ომის თემა სამ ქართულ მოთხრობაში.....	1
გამოხმაურება გიორგი სოსიაშვილის წიგნზე „თეთრი ქალაქი“.....	7
გამოხმაურება გიორგი სოსიაშვილის წიგნზე „გამორთული მთვარე“.....	8
„შეუფლებლობის სულის“ რამდენიმე ნიმუში ქართულ ესეისტიკასა და დოკუმენტურ პროზაში.....	9
ფიქრები გიორგი სოსიაშვილის ახალი წიგნის („მესაფლავენი“) კითხვისას.....	16

2008 წლის აგვისტოს ომის თემა სამ ქართულ მოთხრობაში

მარინე ცერცვაძე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი
E-mail: karlotsertsvadze@mail.ru

ნაშრომით ვეცადეთ მცირედი წვლილი შეგვეტანა XXI საუკუნის ქართული მოთხრობის შესწავლის საქმეში, რადგან, როგორც ცნობილია, მოთხრობა ურთულესი ჟანრია. მასზე ბევრი დაწერილა, მაგრამ დრომ მოიტანა მოთხრობის ახლებურად შეფასების აუცილებლობა. საჭიროა, ქართული ლიტერატურისმცოდნეობის მდიდარ და ძლიერ ტრადიციებზე დაყრდნობით და მისი ღირებული მიღწევების გათვალისწინებით, მოხდეს შეხედულებათა განახლება.

„ეს წიგნი არ არის ჩვეულებრივი წიგნი, ეს ოდაა სიკვდილზე, არც პოემაა, არც მხოლოდ მსჯელობა, ეს ცრემლებია, სიმწრის ცრემლები და გლოვა, უსასრულო და უიმედო, რომელიც დღემდე გრძელდება და რომლის შეჩერება შეუძლებელია“ [დიურასი, 3].

ეს სიტყვები მარგერიტ დიურასის წიგნიდანაა „ნორჩი ინგლისელი მფრინავის სიკვდილი“. როგორ ჰგავს ეს განცდა იმ განცდას, რომელიც გიორგი სოსიაშვილის წიგნის, „ჩვიდმეტნი“, რამდენიმე მოთხრობის წაკითხვისას. ალბათ იმიტომ, რომ ომი ყველგან ბოროტებაა, ყოველთვის ბოროტებაა, მისგან წამოდენილი სიმწრის ცრემლებიც ყველას ერთნაირად ახრჩობს, მარგარეტ დიურასსაც და გიორგი სოსიაშვილსაც. ამიტომ ძნელია დაეთანხმო თამთა მელაშვილს, რომ ომი აღიქმება მამაკაცების საქმედ, პოლიტიკოსების, სამხედროების საქმედ. ომი და მისგან გამოწვეული ბოროტება ჩვენც, მარგარეტ დიურასსაც, ფრანგულ სოფელ ვოვილის მცხოვრებლებსაც და სამაჩაბლოდან აყრილ ლტოლვილებსაც ერთნაირად გვაწუხებს. და გლოვაც ასევე უსასრულო და უიმედოა ყველასათვის, ვინც გადაწყვეტს, ერთხელ კიდევ მიუბრუნდეს მომხდარ ტრაგედიას და დაწეროს ყველაფერი იმის შესახებ, რაც მოხდა, რადგან ამას ყველაფერს მოყოლა სჭირდება.

რა ანიჭებს ფრანგი მწერალი ქალის მოთხოვნას სიმძაფრეს, რაშია მისი ტრაგიზმი? მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ ოცი წლის მფრინავი ბიჭი იღუპება 1945 წლის მაისში, ერთი საათით ადრე, სანამ ომი დამთავრდება. ეს არის და ეს. ამ ბიჭის სიკვდილამდე იმდენი ადამიანია გარდაცვლილი, იმდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ომმა, რომ, თითქოს ეს ერთი სიცოცხლე გინდ აქეთ ყოფილა, გინდ იქით, ხომ შეიძლებოდა, რომ გადარჩენილიყო; მაგრამ დაიღუპა და ომმა წმინდანად აქცია.

ამ ბიჭს, წერს მარგერიტ დიურასი, ისევე, როგორც ყველა მისნაირ ბიჭუნას უყვარდა ომობანას თამაში, გარდაცვლილიც ბიჭად რჩებოდა, „ამის შესახებ წერა შეუძლებელია; თუ ეს შევძელით, მაშინ შეიძლება ყველაფერზე დაიწეროს, მაგრამ ყველაფერზე მიჯრით წერა აუტანელია. ეს აღარ ჰგავს მწერლობას და მისი წაკითხვა შეუძლებელი ხდება, რადგან საშინელ რეკლამას ემსგავსება [დიურასი, 3].

აქედან გამომდინარე, შევეცადოთ საწინააღმდეგოს დამტკიცებას და გავარკვიოთ შესაძლებელია თუ არა წერა 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ, მით უმეტეს, რომ ეს თემა უკვე დიდ ადგილს იკავებს მიმდინარე სალიტერატურო პროცესში. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უფრო დიდ ადგილს იკავებს კრიტიკა იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც ამ ომისადმია მიძღვნილი, რადგან მათი უმეტესობა თბილისს „არგაცილებული“ მწერლების მიერაა დაწერილი და ან იმ კაცუნების ფუსფუსს აგვიწერს, რომელთაც ვერ გადაუწყვეტიათ, რა გზით გადაარჩინონ საკუთარი ქონება-დარჩენ თბილისში, თუ წითელი ხიდის გავლით გადავიდნენ მეზობელ სახელმწიფოში და იქ შეაფარონ თავი, ან სქემატური მსჯელობაა ომის მიერ მოტანილ ბოროტებაზე. არ შველის საქმეს განცხადებები „ჩვენ ეს ომი შეგვეძლო ღირსეულად მიგვეღო და ვერ მივიღეთ“ [წულაია, 4]. იყო ხალხი, ვინც ეს ომი ღირსეულად მიიღო. ამდენად ვერანაირად ვერ დავეთანხმებით ფრაზას, რომელსაც ეკა ქევანიშვილი თავის ინტერვიუში ჩაწერს: მიმართავს რა მწერალ თამთა მელაშვილს, რომელმაც ვერ აუარა გვერდი 2008 წლის აგვისტოს ომის თემას, თავის წიგნში „გათვლა“. სრულად მოვიყვანოთ ეს კითხვა და თამთა მელაშვილის პასუხი:

„შენ ბოლომდე გააპროტესტე ეს ომი, თუმცა საზოგადოების ერთ ნაწილს მაშინ სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდა: რომ სამშობლოსათვის ღირს, რომ როცა თავს გესხმიან, ომი გამართლებულია და ა. შ.

ასეა. ეს არის ჩემი პროტესტი ყოველნაირი ომისა და ძალადობის წინააღმდეგ. რაც შეეხება ომის გამართლებას, ეს ნაციონალისტური მომენტი მგონია, რომელსაც ელიტები ქმნიან, თავი რომ დაიმკვიდრონ საერთაშორისო ასპარეზზე, ქვეყანა მართონ... ეს ხომ ხალხის ომი არ იყო, მე კი ისევ ხალხიდან გამოვდივარ, ხალხთან ვაიგივებ თავს... სწორედ ეს არის პროტესტი მმართველი ჯგუფის მიმართ, რომელმაც ომი დაიწყო“ [მელაშვილი, 2].

მწერალი ქალი რაჭაში ყოფილა ამ ომის დროს, სადაც თვითმფრინავებიც დაფრინავდნენ და ტერიტორიის ნაწილიც დაიბომბა. ამდენად, ომის განცდაც თითქოს რეალურია.

დავუბრუნდეთ გიორგი სოსიაშვილის წიგნს „ჩვიდმეტნი“, სადაც მოთხრობების უმრავლესობა ერთი განმსაზღვრელი თემის გარშემოა გაერთიანებული. მოთხრობების კითხვისას კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ზოგჯერ მართლა სასიამოვნოა შეიგრძნო, საქმე ლიტერატურასთან რომ გაქვს და არა ჟურნალისტიკასთან. მე მხოლოდ სამ მოთხრობაზე შეგერდები რომლებშიც განსაკუთრებით იგრძნობა ომით გამოწვეული ტრაგედია, რომელიც არც 2008 წელს დაწყებულა და არც 2012წელს არის დამთავრებული.

შემთხვევით არ მიხსენებია სიტყვა „თბილისსარგაცილებული მწერლები“. ამ ფონზე ეძვირფასება მწერალს ყველა მოთხრობა, თითოეული აზრადი. ეს მოთხრობებიც შემთხვევით არ შეგვირჩევია, სამივე თემატურად აგრძელებს ომის თემას - დასაწყისი, დევნილობით გამოწვეული ტკივილები და ცხოვრება საზღვრისპირა სოფელში, სადაც ყოველდღე შეიძლება ტრაგედია დატრიალდეს, მაგრამ ნუ გავუსწრებთ წინ მოვლენებს და განვიხილოთ, როგორ ხატავს მწერალი ამ ტრაგედიის თითოეულ ასპექტს.

მოთხრობა „ჩვიდმეტნი“ შინდისში გმირულად დაღუპული ქართველი მებრძოლების ხსოვნისადმი მიძღვნილი. დღეს, საუბედუროდ, უკვე საზღვრისპირად ქცეული სოფელ დიციდან ყოველდღე სამსახურში მიმავალმა მწერალმა უნდა აუაროს და ჩაუაროს იმ ადგილებს, სადაც ეს ტრაგედია მოხდა. მოთხრობა რეალურ ფაქტებზეა აგებული. ამ მოთხრობის გმირებიც, ისევე როგორც მარგარეტ დიურასის წიგნისა, ოცი წლის ბიჭები არიან, მათაც უყვარდათ ომობანას თამაში და „ვერც იფიქრებდა, რომ ერთ დროს ნამდვილი ჯარისკაცის ფორმას ჩაიცვამდა, ხელშიც ნამდვილ ავტომატს დაიჭერდა და სამშობლოს დაცვა არჩევან-არადანის გარეშე მოუხდებოდა“ [სოსიაშვილი, 1]. როგორ ენატრება, რომ ეს სინამდვილე კი არა ისევე ომობანას თამაში იყოს, სადაც ზოგი „იჭრებოდა“, ზოგი „კვდებოდა“ მაგრამ სულ ცოტა ორი „გაცოცხლება“ იყო თამაშის წესებით გათვალისწინებული და ისინიც ისევე „ცოცხლდებოდნენ და ისევე ბრძოლის ველისკენ მიიწევდნენ“ [სოსიაშვილი, 1]. ახლა კი მხოლოდ ერთი სიცოცხლის ამარა დარჩენილან ვერაგი მტრის წინაშე, რომელიც მოტყუებით, თუ ძალით ცდილობს დაიკანონოს ძირძველი ქართული მიწა, „ავტომატებით დააბოტებდნენ ცხინვალის ქუჩებში,.... ვეება ორმოებს თხრიან და ათობით ქართულ გაციებულ გულს გრუხუნ-გრუხუნით აყრიან ამ მიწას რუსული ტრაქტორები“ [სოსიაშვილი, 1].

ეს იქ, ცხინვალში; აქ კი, შინდისში, ქართული დროშით მიტყუებულ ქართველ ბიჭებს მეორედ მოსვლას მოუწყობენ. და რა გინდა უთხრა მომავალ თაობას, რომ ამ ცოდვის ტრიალში, სადაც „თითქოს აპოკალიფსური ამბები ცხადდებოდა“ [სოსიაშვილი, 1], უაზრო იყო ბიჭების გმირობა, რომ ეს არ იყო „ხალხის ომი“ და ამიტომაც არ უნდა იფიქროს ერთ გაბზარულ შენობას ამოფარებულმა ბიჭმა: „ნეტაც როგორ წირავდნენ სამშობლოსთვის თავს ქართველები?“ [სოსიაშვილი, 1] და, რაც მოთხრობას უდიდეს ემოციურ დატვირთვას ანიჭებს არის ის, რომ ავტორი საოცარი დამაჯერებლობით ახერხებს ამ გადამწყვეტ მომენტში აპოკალიფსის თავის გმირს ასეთ კითხვაზე პასუხი: „მე ასე მგონია ყველანაირი ფიქრი გიჭრება, მარტო ერთ წერტილს ხარ მიშტერებული, წერტილს კი არა, ნათლის სვეტს და ის ნათლის სვეტი სამშობლოა“ [სოსიაშვილი, 1].

არ გამართლდა „რუსების მაიორის“ განზრახვა: „არც ერთი ცოცხალი არ უნდა წავიდეს, ეხლა ვაჩვენებ როგორი მებრძოლები არიან“ [სოსიაშვილი, 1]. „არც ერთი ჩვენგანი ტყვედ არ ჩაბარდება“ [სოსიაშვილი, 1]-ამბობენ ბიჭები „ნაღვერდლიანი თვალებით“, ჩვიდმეტივე რჩება და იბრძვიან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. აი, რა კარგად წერს ასეთ სიტუაციაზე მწერალი ქარდა ქარდუხი: „ათასი მიზეზი არსებობს, თუ რატომ უნდა დატოვო ბრძოლის ველი, და მხოლოდ ერთადერთი-რატომ არ უნდა დატოვო, თუნდაც ვეებერთელა იმპერიასთან უთანასწორო ბრძოლაში, და მას გმირობა ქვია; სამწუხაროდ საქართველოში გმირობის საფასური თითქმის ყოველთვის სიკვდილია, ამიტომაც ჩვენ ძირითადად გარდაცვლილი გმირები გვყავს“ [ქარდა ქარდუხი, 6] და შენც, ყოველდღე რომ აუვლ-ჩაუვლი იმ ადგილს, რომელიც „სულ სხვაა, იმიტომ, რომ საფლავი არ არის, ის არის ადგილი, სადაც ერთად ყრია ჩვიდმეტი მუჟა მიწა. იმ მიწაში შინდისში გმირულად დაცემული ჩვიდმეტივე ქართველი ჯარისკაცის სისხლი ერთად არის შერწყმული“

[სოსიაშვილი, 1] როგორ შეგიძლია არ დაწერო, არ უკვდავყო მათი გმირობა, არ მოიყვანო ახალგაზრდები მათ საფლავზე იმის დასანახად, რომ ქართველთა გმირობა მხოლოდ ისტორიას არ შემოუნახავს; აქ, ჩვენს გვერდით, არიან 20 წლის ბიჭები, რომლებიც სამდღიან ომში ახერხებენ გმირებად დარჩენა და აქედან ტრაგიზმიც უფრო მძაფრია, ვიდრე ფრანგი ქალის მოთხოვნაში; თითოეული პერსონაჟი რეალური პიროვნებაა, მათი სახელები შემოუნახავს საფლავის ქვას, იქვე მოთხოვნის ავტორის მიერ აღმართული ჯვარია და თუ მწერალი ქალები გვერდს უვლიან ომზე ტრადიციულად ლაპარაკს და მის სხვა მხარეებს აშუქებენ, მოთხოვნაში „ჩვიდმეტი“, ხმამაღალი პატრიოტიზმიც, ბატალური სცენებიც, ჯარისკაცებიც და ტანკებიც უხვადაა, მაგრამ ეს ყველაფერი რეალობაა, მწერლის მიერ დანახული და მოთხოვნილი, რომელიც მკითხველზე უდიდეს ემოციურ ზეგავლენას ახდენს, რადგან მწერალს არასოდეს ღალატობს ზომიერების გრძნობა და ლიტერატურული გემოვნება.

და არც ის არის შემთხვევითი, რომ მარგერიტ დიურასის მიერ მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მფრინავისადმი ერთხელ უკვე მიძღვნილ მოთხოვნას „ნორჩი ინგლისელი მფრინავის სიკვდილი“, ნანა იაშვილი, თავის თარგმანს 2008 წლის აგვისტოში, გორსა და ცხინვალთან დაღუპულ ქართველ ჯარისკაცებს მიუძღვნის, იმ ჯარისკაცებს, რომლებიც გმირულად იცავდნენ საქართველოს მიწა-წყალს რუსი ოკუპანტებისაგან და მათ შორის შინდისში დაღუპული ჩვიდმეტი ბიჭიც იგულისხმება, ალბათ.

ორივე მოთხოვნა „მისამართიანია“, „პირადად შენთვის მკითხველო, რომლის შესახებ ჯერ არაფერი ვიცი, პირადად შენ გწერ მკითხველო“ [დიურასი, 3] - წერს მარგერიტ დიურასი და გიორგი სოსიაშვილიც ჩვენთვის, მკითხველებისთვის წერს, რომ არ დაიკარგოს ხსოვნა აგვისტოს გმირებისა და არავინ თქვას, რომ ეს მხოლოდ საზოგადოების ერთ ნაწილს ჰქონდა ასეთი დამოკიდებულება: „რომ სამშობლოსათვის ღირს“.

წიგნებს აქვთ უცნაური (აშკარად განპირობებული!) თვისება, სწორედ მაშინ მიეახლონ სულს, როდესაც სწორედ ეს წიგნი სჭირდება. ასეთია ნანა კუციას ზუსტი განმარტება. როგორ სჭირდება სულს მართალი სიტყვა მაშინ, როდესაც საზოგადოება ორად გახლეჩილა და სხვადასხვაგვარად აღიქვამს ომს, რომლისგან გამოწვეული ჭრილობები ჯერ კიდევ დიდხანს არ მოშუშდება, განსაკუთრებით იმ ადამიანთა ხსოვნაში, ვინც დღეს დევნილია და მხოლოდ მოგონებებით საზრდოობს. მოთხოვნა „ამირანის ზედაში“ ამ მონატრებაზეა. ქართულ ლიტერატურაში არაერთგზის გვხვდება დინჯი, გამრჯე, ბრძენი გლეხკაცის სახე, მაგრამ დღეს ეს ამაგდარი ადამიანი საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილის სტატუსს ატარებს. მისი მდგომარეობა კარგად ასახავს ჩვენი დროის ტრაგიკულობას. ამირანის პრობლემა მთელი საქართველოს პრობლემაა, ყველას გვენატრება დაკარგული სამაჩაბლო, მაგრამ იმდენად დიდია სურვილი გლეხკაცისა, ერთხელ კიდევ შეიხედოს თავის ვენახში, რომ გადაწყვეტს იქ უჩუმრად შეიპაროს და ისე დაკრიფოს თავისი ნალოლიავეები ყურძენი. მწერალი გრძნობს სიტუაციის სიმძიმეს, ცდილობს რეალურისა და ირეალურის მონაცვლეობით ზუსტად დახატოს სურათი. თუმცა, ზოგჯერ, მწერლობაში ისეთ რამეს აწყდები, რაც ცხოვრებაში ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ეს სიმართლედ აღიქმება, რადგან მწერლობას თავისი კანონები აქვს.

ამირანის დაბრუნება საკუთარ ვენახში, იქ რთველის მოწყობა, რეალურად ხდება, თუ მისი სიზმრის გაგრძელებაა, მწერალს მკითხველზე აქვს მინდობილი, რადგან, პარადოქსია, მაგრამ გამოგონილი სინამდვილე ზოგჯერ უკეთ ესადაგება რეალურს, ამ უცნაური მშვენიერების წყალობით ვიტანთ მწერლობას, წერს ნობელიანტი მწერალი ჰერტა მიულერი. შეიძლება მართლაც სიზმრის გაგრძელებაა ის, რომ გულის კარნახით, „წერაატანილივით“ წავიდა დაპყრობილ, გავერანტულ სოფელში და რთველი გამართა, მაგრამ „მაინც ბედნიერი

ვარ, რო საკუთარი ვენახიდან მოწეული ყურძნის დაწურვა მეღირსა. დევნილობაში გატარებულ ათეულობით წელს ჯობდა ის ერთი დღე“ [სოსიაშვილი, 1] - ფიქრობს სასიკვდილო სარეცელზე მყოფი ამირანი და გულს იმითღა იმშვიდებს, რომ ზედაშედ ჩაფიქრებული ღვინით, საკუთარ ვენახში ქურდულად დაკრეფილი ყურძნიდან რომ დაწურა, გაზაფხულზე მეუფე ისაია შენდობას ეტყვის მასაც და „ყველა უპატრონო მიცვალებულს... ვის საფლავზეც კვერცხი არ გაგორდება, პასკა არ გაიჭრება, ჭიქა არ წაიქცევა“ [სოსიაშვილი, 1]

მწერლის ცნობიერებაში ღრმად არის გამჯდარი 2008 წლის ომის თემა, ის მხოლოდ ერთ დაბოშებას კი არ შეესწრო, თავის თავზე გადაიტანა ის ჯოჯოხეთი, რაც სამაჩაბლოში დატრიალდა და, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დღესაც არ დამთავრებულა.

დღეს ემოციური კრიტიკა დიდ ადგილს იკავებს ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, ამას ისე მივყვით, რომ ზოგჯერ გვავიწყდება კიდევ, რომ ამქვეყნად რაციონალური კრიტიკაც არსებობს, წერს ანზორ დიდბულიძე, რას ვიზამთ, ამნაირი ვითარება კარგა ხანს არ შეიცვლება, ამას შეგუებულნი ვართო. ზურაბ ლავრელაშვილი კი პასუხობს, „რატო კრიტიკა გვექონია თუ ემოციურებიც ვყოფილვართ და დასაბუთების ხელოვნებას გვკლებია?“ [ლავრელაშვილი, 4].

რაციონალიზმი, თავისთავად, მეტად საჭიროა კრიტიკისათვის, მაგრამ რადგანაც ჯერჯერობით ემოციური კრიტიკა სჭარბობს, ჩვენც ამ ხანს გავყვებით, რადგან არ შეიძლება ემოციების გარეშე განიხილებოდეს მოთხრობა „ლომა, თაზო და ერთ დროს უთვისტომო რექსი“, რომელიც მწერალს, საკუთარი შვილის, 14 წლის ნოდუკოსადმი აქვს მიძღვნილი. ამ მოთხრობაში, და მთელ წიგნშიც „ჩვიდმეტნი“, მწერალს ბევრი რამ რეალობიდან აქვს აღებული. გიორგი სოსიაშვილი ის მწერალია, თავის თავს რომ ხედავს და თავისი თავი რომ იცის. თითოეული მისი მოთხრობა გაგაკვირვებს, გაგაოცებს და დაგაფიქრებს. გაგაკვირვებს იმიტომ, რომ ამდენი წელია ქალაქში შენს გვერდით ტრიალებს, და მხოლოდ ახლა აღმოაჩენ, რომ ყოველ დღე საზღვრისპირა სოფლიდან მოდის სამსახურში და ყოველ საღამოს უკან ბრუნდება. გაგაოცებს იმიტომ, რომ, თურმე, რაც მოთხრობაში ასე ხატოვნად არის გადმოცემული, რეალობაა და არ იცოდა, როდის გაიმეტებენ ვერტმფრენით შემოფრენილი რუსი ჯარისკაცები სოფლის სკოლას. როგორ მაღავს ცრემლებს ისტორიის მასწავლებელი და იმედიანად მოძღვრავს ბავშვებს: „მაგაზე დიდი უბედურებაც გვინახავს, უწყლოდაც ვყოფილვართ, ულუკმაპუროდაც, მაგრამ გაგვიძლია“ [სოსიაშვილი, 1]. შეიძლება ვინმემ ეს სიტყვები პათეტიკაშიც ჩაუთვალოს მწერალს, მაგრამ როდესაც შენი შვილი სწავლობს იმ სკოლაში, საიდანაც ყოველ დღე თითო მოსწავლე გადაყავთ მშობლებს იმის შიშით, რომ „კაცმა არ იცის რა მოაფიქრდებათ ან რუსებს, ან ოსებს“ [სოსიაშვილი, 1], გაგაოცებს „სამშობლოს განცდა გასაკვირველი“, რომელიც არ გაძლევს ნებას დატოვო საკუთარი სოფელი და უკეთეს პირობებს შეაფარო თავი. არა მარტო გაგაოცებს, არამედ გზარავს იმის განცდა, თუ რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს პატარა ბიჭს, რომელიც ნაჟუქარი ბინოკლით გასცქერის პატარა ლიახვის სოფლებს და სხვა გასართობი არ აქვს. ნათესავები კი უყვებიან ქალაქში არსებულ ათასგვარ გასართობზე, მაგრამ მას „ეს ხრიოკი მინდორი ურჩევნია“ [სოსიაშვილი, 1]. ეს პათეტიკა კი არა - რეალობაა, ამიტომ დავიზღვიეთ თავი, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ემოციურობა სჭარბობსო. ამ შეფასებებში ალბათ ემოციურნი ვიქნებით, რდგან როგორ გინდა რაციონალურად ახსნა ის გრძნობა, რაც არ გაძლევს მორალურ უფლებას დატოვო შენი სოფელი და შენი შვილი გაარიდო იმ საფრთხეს, თანასოფლელებს რომ ყოველ წუთს მოელოთ.

ადრეც აღვნიშნეთ, მწერლის მოთხრობებში რეალურისა და გამოგონილის მონაცვლეობის შესახებ. ამდენ რეალობაში, იქნებ, მწერლის ფანტაზიის ნაყოფიც არის ბიჭის

გაბედული ნაბიჯი - როგორც კი რუსის ჯარისკაცები კარგა მანძილით მოსცილდებიან გადაიპაროს და მათი გერმანული ნაგაზი მოფერებით წამოიყვანოს. ეს მით უფრო საშიშია, რამდენადაც რეალურია. კოკა ყოველთვის ხომ არ მოიტანს წყალს, და მაშინ ... რა იქნება მაშინ? ალბათ ის, რითაც აშინებს თაზოს თანასოფლელი მირიანი - დაიჭერენ და „დაუწყებენ მერე ჩვენებს ვაჭრობას“ [სოსიაშვილი, 1], როგორც არაერთხელ გაუკეთებიათ.

ჩვენ არ გვქონდა პრეტენზია გიორგი სოსიაშვილის მთელი შემოქმედება განგვეხილა. მხოლოდ ერთ პატარა წიგნში შესული სამი მოთხრობით შემოვიფარგლეთ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ აზრს, რომ „პოეტი მაინც ერთი ლექსია“ მწერალიც შეიძლება შეფასდეს სამი მოთხრობით, რადგან, სამწუხაროდ, საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) ხშირად ისეთი მწერლები იღებენ უმაღლეს ლიტერატურულ ჯილდოებს, რომელთა შეფასების კრიტერიუმი შემოქმედება კი არა, პირადი ურთიერთობანია და ეს ინსტიტუტი ჯიუტად და უნაკლოდ განვითარდა. მწერალი მხოლოდ იმის იმედზე უნდა იყოს, რომ მომავალი თაობა და დრო გადაარჩევს ლიტერატურას და მაკულატურას.

მოვა მომავალი თაობა და იკითხავს რა ხდებოდა საქართველოში 2008 წლის ომისა და მის შემდგომ პერიოდში. აქ უკვე მწერლის მართალი სიტყვა იტყვის, თუ „რაოდენ საჩქაროა ზრუნვა განსაცდელში ჩავარდნილი სულიერებისათვის, მაშინ როდესაც ერთი ერის უგუნურების გამო მეორე ერს გადაშენების საფრთხე მოელის“ [ჩხეიძე, 5].

დღეს საქართველოში წერა ადვილია, რადგან, როგორც ოთარ ჭილაძე წერს, მწერალმა უარი თქვა მწერლობის ტრადიციულ დანიშნულებაზე, ანუ ჩვენი ისტორიული პრობლემები გადაწყვეტილად მიიჩნია და უცხოელი ექსპერიმენტალისტების მიზამპით უაღრესად „თანამედროვე“ და „აქტუალური“ თემებით დაინტერესდა, როგორცაა, თუნდაც, ჰომოსექსუალიზმი, კოსმოპოლიტიზმი თუ გლობალიზაცია, ანუ მშობლიური ისტორიის კრიტიკა და მშობლიური კულტურის უარყოფა. პოეტი საჯაროდ აცხადებს - „არ ვიცი რას ნიშნავს ხალხის გვერდით დგომა. მე ჩემი ხალხის გვერდით მხოლოდ ნავთის და პურის რიგში ვდგავარ“.

გიორგი სოსიაშვილი თავის ხალხის გვერდით საზღვრისპირა სოფელში დგას, მაგრამ მან, საბედნიეროდ, 2008 წლის ომის პერიპეტიებზე წერის უფლება შემოქმედებაშიც და ყოფაშიც ზნეობრივი პრინციპების ერთგულებით მოიპოვა. თუმცა მწერლობა მწერლობაა და აქ ოჯახური მდგომარეობის და სხვა, თუნდაც ძალიან საამაყო მომენტების წინა პლანზე წამოწევა გაუმართლებელია. ჩვენ ამ სტატიით შევეცადეთ ერთი ფურცელი ჩავგვეწერა იმ თემაში, რომელიც გაჩნდა ქართულ ლიტერატურაში და რომელსაც „2008 წლის აგვისტოს ომის თემას“ უწოდებენ. ვინ წერს, რას წერს, როგორ წერს ამ მტკივნეული თემის შესახებ, ამას მომავალი თაობა განსჯის, ჩვენ მხოლოდ ორიოდე სიტყვა ვთქვით იმ მართალ წიგნზე, რომლის დაწერის უფლებაც ავტორმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწერლური და ზნეობრივი პრინციპების ერთგულების დაცვით მოიპოვა.

ლიტერატურა:

1. გიორგი სოსიაშვილი, „ჩვიდმეტნი“, თბ., 2010.
2. „ლიტერატურული პალიტრა“, №2, 2011.
3. „ლიტერატურული პალიტრა“, №5, 2011.
4. „ჩვენი მწერლობა“, №10, 2011.
5. „ჩვენი მწერლობა“, №23, 2011.
6. „ჩვენი მწერლობა“, №19, 2012.

რეზიუმე

ნაშრომით ვეცადეთ მცირედი წვლილი შეგვეტანა XXI საუკუნის ქართული მოთხრობის შესწავლის საქმეში, რადგან, როგორც ცნობილია, მოთხრობა ურთულესი ჟანრია. მასზე ბევრი დაწერილა, მაგრამ დრომ მოიტანა მოთხრობის ახლებურად შეფასების აუცილებლობა. საჭიროა, ქართული ლიტერატურის მცოდნეობის მდიდარ და ძლიერ ტრადიციებზე დაყრდნობით და მისი ღირებული მიღწევების გათვალისწინებით, მოხდეს შეხედულებათა განახლება. ნაშრომში შევეცადეთ გაგვეჩვენა შესაძლებელია თუ არა წერა 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ, მით უმეტეს, რომ ეს თემა უკვე დიდ ადგილს იკავებს მიმდინარე სალიტერატურო პროცესში.

THE AUGUST WAR 2008 IN THREE GEORGIAN NOVELS **Marine Tsertsvadze, Gori State Teaching University, Full Professor** **RESUME**

The presented work is an attempt to do a bit in the study of the Georgian novels of the XXI century, as it's the most complicated genre. Much was written about it, but it became inevitable to estimate the genre in a new way. It's necessary to renew the viewpoints based on rich and strong traditions of the Georgian Literature Studies and regarding its valuable achievements. In the work we tried to find out whether it is possible to write about the August War 2008 or not, however, this theme has already had a great place in the current literary process.

გამოხმაურება გიორგი სოსიაშვილის წიგნზე „თეთრი ქალაქი“

თითქოს რაღა უნდა ითქვას ამ „მადლით მოსილი წიგნის შესახებ, რაც რედაქტორს (თამარ გელიტაშვილს) ძალიან ლამაზად არ უთქვამს წინასიტყვაობაში, მაგრამ შენ შენი სათქმელი გაწუხებს და ცდილობ ფურცელზე გადაიტანო ის გრძნობები, ის ცრემლები, წიგნის კითხვისას რომ ჩნდება და გაღრჩობს, თუ არ ამოთქვი, ნამდვილად დაიღრჩობი, რადგან შენ, შენ მოგზაურობ მასთან ერთად წმიდა მიწაზე, შენ წილ სანთელს ანთებს და შენ წილ ლოცვას აღავლენს ქრისტეს საფლავთანაც და გოლგოთასთანაც, შენი სულის ხსნასაც ცდილობს.

რამდენი მოგონებაა უფლის კარზე მოგზაურობისა, რამდენი რამ წამიკითხავს, ასეთი გრძნობა არ გამჩენია, გრძნობა თანაზიარობისა; არც არავის მოუმართავს ასე-შენ წილ სანთელს ვანთებო; ყველა თავისი შთაბეჭდილებების გავლენის ქვეშაა და არავის შენთვის არ სცალია; აღსრულდა, ეღირსათ ყველა ქრისტიანის საოცნებო და სანატრელ ადგილებზე ფეხის დაკარება და საკუთარ გულისხმას უფრო უგდებენ ყურს, არავისთვის სცალიათ, ყველა თავის განცდებზე გვესაუბრება, ეს კი, იქ მყოფი, ჩემზე ფიქრობს, მე, მე მაზიარებს იმ მადლს, თვითონაც რომ გულში ჩაღვრია და მეც მჯერა მისი გულწრფელობისა, მჯერა, რომ ჩემი ცოდვებიც მოიწანია, ჩემი სათქმელიც მიიტანა იქ, სულ რომ ნატრობ „ჩუმის ნატვრით“ დღე და ღამ, მაგრამ შეიძლება ისე წახვიდე ამ ქვეყნიდან, ეს ნატვრა ვერ აისრულო, თუმცა მორწმუნის ხვედრი ისაა, რომ მუდმივად ისე ნატრობდე, არც გქონდეს ასრულების იმედი.

ფრანგი მწერლისა არ იყოს, დრო რომ მქონდეს, უფრო მოკლედ დაგიწერდით, მაგრამ ამაზე მოკლედ არ გამოდის, იგრძნობა დიდი სიყვარული, ჩემამდე რომ აღწევს. აი, მე ნამდვილად არ გამოგრჩენივართ.

გამოხმაურება გიორგი სოსიაშვილის წიგნზე „გამორთული მთვარე“

გიორგი სოსიაშვილი, წიგნით „გამორთული მთვარე“ (მოთხრობების შინაარსის მიხედვით), თავისუფლად შეიძლება შეფასდეს იმ სიტყვებით, ნობელის პრემიების მიმნიჭებელმა კომიტეტმა რომ შეაფასა პატრიკ მოდიანო - ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში 2014 წელს: „ხსოვნის ხელოვნების დიდოსტატი, რომელიც ღრმად ჩაწვდა ადამიანის ბუნების უფაქიზეს შრეებს და წარმოაჩინა მათი ცხოვრების რთული და მძიმე ხვედრი ოკუპაციის დროს“.

ჩვენ არ განვიხილავთ გიორგი სოსიაშვილს და პატრიკ მოდიანოს ერთ სამწერლობო არეალში, არც მეორე მსოფლიო ომი და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომები შეედრება ერთმანეთს მასშტაბებით, მაგრამ როგორც ადრეც ვწერდით, როდესაც გ. სოსიაშვილის მოთხრობებს განვიხილავდით, ომი-ომია და მისგან გამოწვეული ბოროტებაც, იქნება ეს ლტოლვილად ქცევა საკუთარ მიწაზე, თუ ოკუპაციის მძიმე წლები და მისგან გამოწვეული უღონობა, ერთნაირად აწუხებს ფრანგ და ქართველ მწერლებს, იქნება ეს მარგარეტ დიურასი, პატრიკ მოდიანო თუ გიორგი სოსიაშვილი.

მაგრამ არის ერთი განსხვავება ამ ორი მწერლის შემოქმედებაში: პატრიკ მოდიანო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაბადებულა და, და ამის მიუხედავად, ისე ითავისებს ყოველივე მომხდარს, რომ უმაღლესი ლიტერატურული პრემიის მინიჭება საფრანგეთს სრულიად არ უკვირს, პირიქით.

ამ წიგნში კი მწერლის თვალწინ ხდება და დღემდე გრძელდება ყველაფერი ის, რაც მოთხრობებში ასახულა - იქნება ეს ომის უმძიმესი დღეები, თუ შემდგომი, ოკუპაციით გამოწვეული უღონობა. ავტორი ამ ყველაფრის თანამონაწილეა და როდესაც სადმე წასულს ეკითხებიან - რატომ შვილებიც არ წამოიყვანეო, პასუხობს-„ვინმე ხომ უნდა დარჩეს სახლში, რომ დაუხვდეს რუსებს და არ შემოუშვასო“. არც შემოუშვებენ, ისინი ხომ საზღვრისპირა სოფელში ცხოვრობენ.

„შეუგუებლობის სულის“ რამდენიმე ნიმუში ქართულ ესეისტიკასა და დოკუმენტურ პროზაში

(თამაზ ნატროშვილი, გურამ ასათიანი, გიორგი სოსიაშვილი).

საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობაზე, იმ ტკივილზე, ყველა ქართველი გულით რომ ატარებს, შაჰ - აბასზე, ქეთევან დედოფალზე, უნდილაძეებზე, ფერეიდანზე და იქაურ ქართველებზე უამრავი რამ დაწერილა და კვლავ დაიწერება. საქართველოს ისტორიის ეს ტრაგიკული და ამავე დროს საამაყო ეპიზოდი კიდევ დიდხანს იქნება განსჯის თემა ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაში.

შაჰ-აბასის მმართველობის ორმოცი წელი ძალიან მძიმე იყო საქართველოსათვის, განსაკუთრებით დაზარალდა კახეთი, საიდანაც უამრავი ქართველი იქნა აყრილი და გადასახლებული ირანში, კერძოდ ფერეიდანში. მას შემდეგ „ფერეიდნელი ქართველების“ ბედი მუდმივად ადევნებს ქართველი კაცის ცნობისმოყვარეობას. მათ შესახებ არსებობს ურთიერთგამომრიცხავი ცნობები.

ნაშრომში განვიხილავთ, თუ როგორ აისახება ეს პერიოდი თამაზ ნატროშვილის მეცნიერულ-მხატვრულ ნარკვევებში, გურამ ასათიანის რამდენიმე ცდაში ქართული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების გასარკვევად და გიორგი სოსიაშვილის ფერეიდნულ ნოველებში.

თამაზ ნატროშვილი, ეყრდნობა რა უცხოურ წყაროებს (მათ შორის ბევრი ისეთიცაა, მანამდე უცნობი რომ იყო მკითხველისათვის), ყველაზე სრულყოფილად აგვიწერს ამ დროის მოვლენებს და ცდილობს განსხვავებული ინტერპრეტაციით განიხილოს ეს ტრაგიკული მომენტები საქართველოს ისტორიისა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხის ყოველ გამოხდომას (1615 წლიდან 1625 წლამდე) შაჰ - აბასი უსასტიკესი შურისძიებით პასუხობდა, თურქი ისტორიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით, თავისი მეფობის ორმოცი წლის მანძილზე შაჰ - აბასს ისეთი მძიმე დანაკლისი არ განუცდია, როგორც განიცადა საქართველოში 1625 წელს. ეს წელი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი, როგორც დიდი გამარჯვების წელი, როცა ქართველმა ხალხმა სამარადისოდ დაამტკიცა, რომ მას არ ეწერა არც გათათრება და არც გადაშენება. ამ გამარჯვებაში უდიდესი როლი ქეთევან დედოფლის თავგანწირვამ ითამაშა. ყველამ კარგად იცის, რომ ის შაჰმა აწამა, მაგრამ არსებობს უამრავი მიზეზი წამებისა. განიხილავს რა ყველა მიზეზს, თამაზ

ნატროშვილი ერთ-ერთ უმთავრესად მიიჩნევს შემდეგს: ერთ ევროპელ მისიონერს თუ დავუჯერებთ: „არავინ იცის რა სწამს ამ კაცს (შაჰ-აბასს), ან თუ სწამს რამე: მაჰმადიანური სარწმუნოების წესებს ის უხალისოდ ძრულებს, მაგრამ არც ქრისტიანია“. ეს იმას ნიშნავს, რომ შაჰი არ ყოფილა ფანატიკოსი მაჰმადიანი, არამედ სარწმუნოებას ყოველთვის იყენებდა სასურველი მიზნის მისაღწევად.

მოიშველიებს რა სომეხ ისტორიკოსს არაქელ თავრიზელს, თამაზ ნატროშვილი გვიყვება საინტერესო ისტორიას, რომ ირანში მცხოვრები გათათრებული და შაჰის სამსახურში ჩამდგარი ქართველების დედები ქრისტიანებად რჩებოდნენ. ამან დააექცა სეფიანთა ხელმწიფე და გადაწყვიტა გაეგო, რატომ ხდებოდა ასე. შვილების შეკითხვას დედებმა უპასუხეს-თეიმურაზის დედა თუ ქრისტიანად რჩება, ჩვენ რატომ უნდა გავმაჰმადიანდეთო?

შაჰ-აბასი მიხვდა, რომ ქეთევანი თავისი სიმტკიცით სხვებსაც მოუწოდებდა ქრისტიანობის დაცვას, მას კი სურდა გამაჰმადიანებული ეხილა მთელი საქართველო. აკაკი ბაქრაძე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „ახსტრაქტული ქადაგება კონკრეტული ნიმუშის გარეშე სასაცილოა და მისი არავის სჯერა. ქრისტიანული იდეალისთვის ქეთევანს თავი რომ არ გაეწირა, მის ქადაგებას არავინ ირწმუნებდა“.

არის ერთი საინტერესო მომენტი, რომელსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ: სანამ დასჯიან, ქეთევან დედოფალი შვიდი წლის განმავლობაში იმყოფება იმამყული-ხან უნდილადის - შირაზის ხანის სასახლეში და, ფაქტიურად, მისი ტყვეა. ამ „უნდილადემ“ როგორც მას გურამ ასათიანი მოიხსენიებს, (თუმცა იყო მამაც, მეორე ძმაც, არანაკლებ აღზევებულნი), დიდი როლი ითამაშა ირანის ტახტზე შაჰ - აბასის განმტკიცებაში, იყო მისი მხედართმთავარი, მთელს ირანში ვერავინ შეედრებოდა ვერც სიმამაცით, ვერც გონიერებით, ვერც სამხედრო ნიჭით. მას აქებს ყველა და ეს ქება შემოუნახავთ უცხოურ წყაროებს: ინგლისელი თომას ჰერბერტი, იტალიელი პიეტრო დელა ვალე, ფრანგი ჟან-ბატისტ ტერნიე, გერმანელი ადამ ოლენარიუსი. ვკითხულობთ ევროპულ წყაროებში შემონახულ ამ ცნობებს და ჩვენც „გვხიბლავს უცხო ქვეყანაში აღზევებული ქართველი კაცი, გვხიბლავს მიუხედავად იმისა, რომ ოგი მაჰმადიანია რჯულით, ზნე-ჩვეულებებით, საქართველოში არ დაბადებულა, საქართველო თვალით არ უნახავს“. ეს გასაგებია, გაუგებარია მხოლოდ თეიმურაზის პოზიცია უნდილადისადმი, როდესაც პოემში „წამება ქეთევან დედოფლისა“ ხოტბას ასხამს მას, თუმცა „ცოტა უცნაურად გამოიყურება ამ შემადრწუნებელი გულწრფელობით დაწერილ პოემაში ქება შირაზის ხანისა.... რომლის სამფლობელო ქალაქში აღასრულა თავისი სიცოცხლე ქეთევან დედოფალმა“.

თეიმურაზი გამოჩნდება შირაზში ინგლისის ელჩობის დროსაც, როცა ნადიმზე „იმამყული - ხანის ხელმარჯვნივ იჯდა თეიმურაზი - „უბედური მეფე საქართველოსი, მამაცი პიროვნება, ომებში გამოცდილი და მტკიცე ქრისტიანი“. ამას თავისი ისტორია აქვსო, გვიყვება თ. ნატროშვილი: ეს იყო შერიგების მცდელობა შაჰ - აბასთან, მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის, მთავარი ის არის, რომ ინიციატივა შაჰის მხრიდან მოდიოდა და ის კატეგორიულად მოითხოვდა თეიმურაზის ჩასვლას ირანში, რადგან 1625 წელს დარწმუნდა, რომ საქართველოს მოთხრა არ ძალუძდა. თეიმურაზიც მიდის ამ კომპრომისზე. თავისთავად, პოემაშიც, თეიმურაზი ფრთხილია თავის შეფასებებში:

„შირაზი ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი,

მდაბალი, ტკბილი, მოწყალე, აქებენ სრულად ქვენანი“.

ალექსანდრე ბარამიძე ფიქრობს, რომ თეიმურაზ პირველის დროისათვის ერთ-ერთ უმწვავეს კითხვათაგანს წარმოადგენს სასულიერო და საერო მიმართულებათა ურთიერთობა. მის მიერ ნაციონალური თემატიკის დამუშავება პირველი მაგალითია ქართულ მწერლობაში და ის ამ მიმართულების დამწყები ხდება, რითაც მან „ერთგვარი თემატიკური კრიზისი სძლია და მომავლისთვის მწერლობას ახალი გზები დაუსახა, რომელსაც აგრძელებენ არჩილი, გურამიშვილი და სხვები“.

რაც არ უნდა დიპლომატიით იყვეს განპირობებული თეიმურაზის ეს ნაბიჯი და რაც არ უნდა ქართული მწერლობის მომავალზე ფიქრით, მაინც უცნაურად ჟღერს ქება-დიდება კაცისა, რომელიც ორჯერ ჩაერია თეიმურაზის შვილების ბედის გადაწყვეტაში და მესამედ მაინც ვერაფერი უშველა მათ. ქეთევანის უღმრთელი განაჩენის გამოტანის საქმეში კი ერთხელაც ვერ გაჭრა მისმა ჩარევამ. ქეთევანი იქით ამშვიდებს: „ფრიად მადრიელი ვარ და მაქებელ კაცობრიობითსა ღმობასა მაგას შენსა ზედა გულმტკიცუნულებსა ჩემთვის, მაგრამ შეუძლებელ არს ჩემ მიერ უარის ყოფა ქრისტე მეუფისა ჩემისა“.

და როგორია ამ ორი ადამიანის აღსასრული? რა მიიღო თითოეულმა?

სასიკვდილოდ გამზადებული დედოფალი უკანასკნელ ლოცვაში ღმერთს ევედრება მისმა შვილმა დაიბრუნოს ღვითკურთხეული საქართველოს ტახტი. ექვსი თუ შვიდი თვის შემდეგ მისი ნანატრი ახდა, თეიმურაზი, დედის ღვაწლის აღმწერელი, დაჯდა „ტახტსა ზედა“, ხოლო „ქეთევანის სახელსა და დიდებას მთელს ევროპაში მოჰყვნენ უცხოელი მწერლები“.

რაც შეეხება უნდილამეს, რომელიც ირანის მეორე მეფედ ითვლებოდა და რომელსაც არც შაჰ-სეფისა შეეშინდა და ქედმაღლურად შეეპასუხა: „ჩემზე აღმდგარ ძალას ძალასვე დავახვედრებ და თავს დავიცავ, ირანის საუკეთესო ციხეები მიჭირავსო“, ასეთი ბედი ერგო: წარმუხურელად მიმართა ჯალათებს - „აი, მზად ვარ დავემორჩილო შაჰის ბრძანებას, მხოლოდ ერთსა გთხოვთ - ნუ მომკლავთ ამ საბრალო ქალების თვალწინ, თავზარი არ დაეცეთო“ და თუ ქეთევანის სურვილი - მომკალით, მაგრამ სიმიშვილით ნუ შეურაცხყოფთო, არ დააკმაყოფილეს, უნდილამისა დააკმაყოფილეს, თუმცა მისი და მისი შვილების გვამები სამ დღეს ეყარა მოედანზე, სამ დღეს, ალბათ, ქართულად დასტიროდა „მოხუცი ქართველი დედა იმამყული-ხანისა თავის სპარსელ შვილებს და შვილიშვილებს“. ამის შემდეგ შაჰმა ბრძანა მიწისთვის მიებარებინათ მათი გვამები.

გურამ ასათიანი, წიგნში „სათავეებთან“, მესამე ჩანართში „უნდილამე“, მთლიანად თამაზ ნატროშვილის მონაცემებს ეყრდნობა. თამაზ ნატროშვილს გურამ ასათიანის ამ წიგნმა კიდევ უფრო გაუღვივა ინტერესი და აიძულა ახალი ასპექტით დაენახა ზოგი რამ, თუნდაც ის, რომ, მაშინ, როცა „თითქოს უკვე ყველაფერი იყო თქმული შირაზის ხანის შესახებ, არაკი, თუ მართალი, დითირამბი თუ ფხიზელი შედარება.....შეძლო ახალი და გაბედული სიტყვა ეთქვა. მან ახალი კუთხით შეავლო თვალი შირაზის ხანის ფენომენს“ და აღნიშნავს - გ. ასათიანს ეკუთვნის „მნიშვნელოვანი..... დასკვნა იმის

თაობაზე, რომ ყველაზე ზუსტი.....ემბლემა ქართული ხასიათისა არის პრომეთე (ანუ ამირანი) - შეურეგებლობის, შეუფუებლობის სული“. ამ სულის მატარებელ ქართველთა შორის ერთ- ერთი ადგილი უჭირავს ქეთევან დედოფალს და მისი თავდადება, რომელიც გ. ასათიანის აზრით სულაც არ იყო ნაკარნახევი რელიგიური ფანატიზმით, იყო „დაუგეგმავი პრელუდია“ გმირული 1525 წლისა. გ. ასათიანის დასკვნა ასეთია: რომ ქეთევან დედოფალი არ გათათრდება, ყველამ კარგად იცის და რაც არ უნდა ეხვეწონ, არ გათათრდება და მორჩა. ეს კი „შირაზის ხანისთვის პირველი წაგებული ბრძოლაა და ის იძულებულია საბოლოოდ პილატეს ჟესტით დაკმაყოფილდეს“. მთელი თავისი ძალაუფლების, მთელი თავისი შინაგანი საუცხოო თვისებების, დიპლომატიური ნიჭის მიუხედავად, იმამყული-ხანი მხოლოდ პილატეს და „ვიდრე ქართველი ხალხი ქეთევან წამებულის წმიდა აჩრდილს ეთაყვანება, იმამყული-ხანის სახეებს ვეღარავინ ჩამორეცხავს ამ საზარელ ლაქსა“. ეს ძალზე მნიშვნელოვანი და საგულისხმო დასკვნაა, რადგან „გურამ ასათიანმა ამ სიტყვებით თამამად გაარღვია პიეტეტის ის მოჯადოებული წრე, რომელიც შემოვარტყით სახელგანთქმულ შირაზის ხანს და სადღაც სკლიოში მიჭქმალეთ მართლაცდა საზარელი ლაქა“. ამდენად, თამაზ ნატროშვილს ძალზე მართებულად ეჩვენება გ. ასათიანის დასკვნა.

ზემოთ აღნიშნული “შეუფუებლობის სულის“ თავისებურ ინტერპრეტაციას აგრძელებს გიორგი სოსიაშვილი. მისი „ფერეიდნული ნოველები“ დოკუმენტური პროზის ნიმუშია, მაგრამ აქ თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ თ. ნატროშვილის სიტყვების პერიფრაზირება, რომ მწერალ - დოკუმენტალისტის კალამი არ სჯერდება ისტორიული სინამდვილის თავისთავად მიმზიდველ კოლორიტს, დაჟინებით ეძებს ფარულ კოლიზიებს, კიდევ უფრო აცოცხლებს ჩვენთვის ცნობილ ფაქტებსა და ფსიქოლოგიურ სურათებს.

გიორგი სოსიაშვილის წიგნი ნონფიქშენის კარგი ნიმუშია. ნონფიქშენი, შეგვახსენებს ლევან ბრეგაძე, ფიქშენის საპირისპირო ცნებაა და უბრალოდ არაგამოგონილს ნიშნავს. ამ წიგნში მწერალი აგრძელებს ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს და თუ კარგა ხანია მთელ მსოფლიოში შეინიშნება ნონფიქშენისადმი ინტერესის გაძლიერება, ქართულ მწერლობასაც ლიტერატურის ამ დარგში ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციები აქვს. უფრო მეტიც: „ჩვენი მწერლობა ნონფიქშენით იწყება“, ფიქრობს ლევან ბრეგაძე.

გვიყვება გ. სოსიაშვილი - ქართულად რომ ვთქვათ „არაგამოგონილ“, უცხო სიტყვით კი „დოკუმენტურ“ ამბებს და თუ ისევ ლევან ბრეგაძეს მოვიხმობთ, ლიტერატურული ტერმინების ეს ჩანაცვლება იმიტომ არის, რომ, თითქოს, არაბელეტრისტული (ბელეტრისტიკა-ლამაზი წერილობა), ნამდვილი ამბების ამსახველი დოკუმენტური ტექსტი არ შეიძლება ლამაზი იყოს, „რაც ცხადია ასე არ არის - მოსაწყენი ბელეტრისტული (მხატვრული) თხზულებაც ბევრი გვინახავს“

წიგნში ლოგიკურ განსჯას მხატვრული შედარებები, ლირიკული გადახვევები, ქართულ გენტან წარმოსახვითი საუბრები და ავტორის ხილვები სჭარბობს: ზემოთხსენებული მწარე მოგონებებით შთაგონებული ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფი მიუყვება ფერეიდნისაკენ მიმავალ გზას და იხსენებს ყველაფერ იმას, რაც სპარსეთთან ურთიერთობისას გადაგვხდენია თავს, შემდეგ სულში დალექილა და არ

იშლება არც საქართველოში და არც ფერეიდანში მცხოვრები ქართველების მეხსიერებიდან. მიჰქრიან და უკან რჩება ერუშეთის მთები, რომელთაც „როგორც დედაბრის ჩამომჰქნარი სილამაზე და სიკასკასე, ისე შერჩენია თოვლი, სისპეტაკედაკარგული, უბიწოება წაგვრილი თოვლი“. მიდიან და გზას ბოლო არ უჭანს და როცა სერგო ვარდოსანიძე შეახსენებთ, რომ ეს აღზევანის გზაა, უკვირთ - როგორ მიდიოდა მარილზე ამ სიშორეზე ხალხი.

ნაშრომის ფორმატი არ მოგვეცემს უფლებას ყველა ნოველაზე დაწვრილებით ვისაუბროთ, მაგრამ ზოგიერთი მათგანის მხატვრულ ღირსებებზე საუბარს გვერდს ვერ ავუვლით.

გზად ქაშანს გაივლიან და როგორ შეიძლება თვალი არ შეავლო შაჰ-აბასის საფლავს; ჰოდა, დადიან ქაშანის ქუჩებში და ემებენ „იმ დამპყრობლის განსასვენებელს, ვინც წელში გატეხა და სისხლისგან დაწრიტა ჩემი ქვეყანა“. როგორც იქნა მიაგნეს და ერთად ჩაესმის ავტორს ყურში „ათასობით თუ ასიათასობით ქართველის გოდება“, დახუჭავს თვალებს და „წარმოსახვაში გაჩნდება XVII საუკუნე, აოხრებული, ტყე-ღრედ გადაქცეული ქართლ-კახეთი“. ეჩვენება, რომ ბორგავს ქაშანის მიწაში შაჰ-აბასის სული, რადგან სიცოცხლის ბოლოს აღიარა: ორი რამ ვერ დავამარცხე-სიკვდილი და ქართველიო. რა იცოდა სპარსეთის მბრძანებელმა, რომ გავიდოდა რამდენიმე საუკუნე და ფერეიდანში, მის მიერ გადმოსახლებული ქართველების სანახავად ჩასულები, მის საფლავს დაუწყებდა ძებნას ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფი; გზად არარატის ფონზე სურათსაც გადაიღებენ: „შალვა კირთაძის ობიექტივში ცადაქილი არარატი ჩანს. კალთებზე სასუფეველის ნათელივით უბრწყინავს ნაზამთრალი თოვლი... ჩალმასავით მოხვევია კორტოხზე ლეგა ღრუბელი“. შესანიშნავი შედარებაა - არარატი და ჩალმა, ქრისტიანული და მუსულმანური სარწმუნოების სიმბოლოები.

აღბეჭდავენ ფორზე ამ ყველაფერს და ისევ ფერეიდანის გზას გაუყვებიან, რომ ნახონ ის ქართველები, მეჭვიდმეტე საუკუნეში რომ გადმოსახლა შაჰ-აბასმა, თუმცა, ეგონა ყველა უდაბნოში ჩაკვდებოდა და ამით დამთავრდებოდა მათი არსებობა, მაგრამ „იჰლაა“, არ ყოფილა ასე ადვილი. ახლა იმ ქართველთა ნაშიერი ყოველ ნაბიჯზე შეიძლება შეგხვდეს, წინ გადაგიდგეს, გაგიღიმოს და გითხრას: „მე ქართველი ვარ“, ამით გული გაგიბოხს, შენი ხელიც გულზე მარცხენა მხარეს დაიდოს და ისე გაგიმხილოს: „მიყვარს! აი გული, ჩემი გული“- მეტი ქართული აღარ ყოფნის. „დგას და შემოგყურებს მზერაანთებული თავრიზელი ქართველი - მე, ასათ ქართველი ვარ, ასათ ქართველი“.

ავტორს არც ჩიტი ავიწყდება, რომელიც ირანის გზებზე მიმავალთ თავს დასტრიალებს და მალ-მალე ჩამოსძახებს: „ნუ გათათრდები!“ სულხან-საბას ლექსიკონის ფურცლებზე ასეთი ჩანაწერია: „ნუ გათათრდები-ეგვიპტის მტრედი, მომცრო ფრინველი, მსგავსი გვრიტისა; მისირსა და შირაზში ცხოვრობს. ესენი ოდეს მგზავრ კაცს ნახავენ, იწყებენ ძახილს ქართულის ენით: ნუ გათათრდები! და ამ მიზეზით თათარნი უწოდებენ გიაურ-ყურში, ვითომც უშჯულო ფრინველი“. ძნელი სათქმელია, მართლა არსებობდა თუ არა ასეთი ჩიტი, მაგრამ ლეგენდის დაბადებას თავისი სიმართლე გააჩნია. ნუთუ, იმ ქართველ დიდებულებს არ მისდევდა ეს ჩიტი, დიდების საძებნელად რომ მიდიოდნენ, მაგრამ ავტორი დანაშებით ამბობს: „დიდების მოპოვების სურვილი და

შაჰის ხალათი რას არ გააკეთებინებს კაცს“. აქ ერთი პარალელი შეიძლება გავაკეთოთ: 1618 წელს ყაზვინისკენ მიმავალ პიეტრო დელა ვალეს ქართველები შეხვდებიან და გზას ერთად აგრძელებენ. ქართველები უზომოდ გაიხარებენ, როცა გაიგებენ, რომ მათი თანამგზავრები ქრისტიანები არიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ქართველია ყველა, ვინც ქრისტეს ჯვარს ატარებს. ერთად აგრძელებენ გზას ქართველი დიდებულები და პიეტრო დელა ვალე, საუბრობენ ქესტების ენით და სიყვარულს უზიარებენ ერთმანეთს. მათ ყოველ ნაბიჯზე ხვდებიან სხვა ქართველები და დაკვირვებული პიეტრო დელა ვალეს თვალს არ გამოეპარა, რომ „ქართველთა ძალაუნებური გამაჰმადიანება მეტწილად ფორმალური ნაბიჯი იყო; თუმცა ისინი გარეწულად გამაჰმადიანებულები არიან და ირანის შაჰს ემსახურებიან, უფალმა უწყის გულში რას ფიქრობენ და ბევრზე ნამდვილად ვიცი, ქრისტიანულ სარწმუნოებას არ ღალატობსო“.

ამ გზად შეხვედრილ, „გარეწულად გამაჰმადიანებულ“, ქართველთა შთამომავლების ემოციებს ხატავს მწერალი მხატვრული ოსტატობით, მოგვითხრობს იმ სიხარულზე, შუა ირანში „ჩონების“ გამოჩენა რომ იწვევს; ქმნის მათ შთამბეჭდავ გარეწულ და შინაგან (სულიერ)პორტრეტებს, ეს კი, არც ისე ოღია, რადგან: „ნამდვილად მომხდარი ამბების სიტყვის მეშვეობით ასახვა-გაცოცხლება, ანუ ნატურიდან ხატვა, მწერლისგან განსაკუთრებულ უნარებს მოითხოვს, ნონ-ფიქშენში მხატვრული თხზულებებისგან, ანუ ფიქშენისგან, საგრძნობლად განსხვავებული ესთეტიკური პრინციპები მოქმედებს“. მწერალი ყველაფერ ამას ითვალისწინებს და კარგადაც გამოსდის.

თუ არა ამ ქართველთა შთამომავალი, მაშ, ვინ არის თამარა, რომელიც ალავერდი-ხან უნდილაძის ხიდთან ელოდებოდა. მას ხომ საქართველოში ცხოვრება უნდა და მოქალაქეობის მიღებაზე ოცნებობს. თამარი ფანიაშვილია გვარად და სჯერა - „ქართველები გამორჩეულები ვართ“.

ვინ არიან ეს ქართველები, საიდ-მულიანის მოსწავლეები (რომლებიც საიდ მულიანს ასე მიმართავენ: ჩვენი საიდა, ჩვენი მასწავლებელი. საიდ მულიანი, თავისი სკოლით, ცალკე სტატიის თემა). ვინ არიან: ზვიადი, ტარიელი, ასლანი ონიკაშვილი, ზვიადი კურდღელაშვილი, რეზო ბათუაშვილი და უამრავი სხვა, რომლებიც გახარებულნი შეკრებილან „ქართველების საფიხვნოზე“ „ჩონების“ სანახავად, ყველას უნდა გამოორჩეს, თავი რაღაცით დაამახსოვროს ძვირფას თანამემამულეებს, განსაკუთრებით ისინი ამაყოფენ, ვინც უკვე ნამყოფია საქართველოში, „ხან ერთი გვეპატიჟება, ხან მეორე, ხან მესამე“, დრო კი არ იცდის, გზა უნდა გააგრძელონ, ორ დღეში ბევრი რამ უნდათ მოასწონ. მწერალს, უნებურად, ახსენდება ფრაზები ამბაკო ჭელიძის წიგნიდან: ფერეიდანში „ქართველები ნელ-ნელა გადაგვარდნენ“, ან, თუნდაც „გადაგვარების გზაზე მყოფი ფერეიდნელი ქართველები“. როგორ შეიძლება ასე წერა, მაშინ, როდესაც: „ოთხი საუკუნე უპატრონოდ, უმოყვროდ, დევნასა და მიუსაფრობაში მყოფმა ადამიანებმა საკუთარი იდენტობა, საკუთარი ქართველობა გულით ატარეს, დღემდე მოვიდნენ, დღემდე მოიტანეს ქართული სული, რის ფასად, რის ხარჯზე, სისხლის ნთხევის, შევიწროვების, დამცირების, აბუჩად აგდების!!!... აქედან ადვილია საუბარი, აქედან ადვილია განკითხვა“.

და ისევ უნდილაძეებს დავუბრუნდეთ. ალავერდი-ხან უნდილაძე, მამა სახელოვანი შირაზის ხანისა. მისი სახელი რამდენჯერმე გამოჩნდება წიგნში „ვერცხლის ყვავილები“.

ზემოთ აღნიშნეთ - ალავერდი ხანის ხიდთან და ძეგლთან ელოდებოდა თამარ ფანიაშვილი და ეჩვენება ავტორს მზეს მიშტერებული ალავერდი-ხანი, სულ ცოტა რომ დარჩენია მდ. ზიანდერუდზე აგებული ხიდის დამთავრებამდე და ისეა გართული თავის ხილვებში, რომ ვეღარც ერთგულ მსახურს ამჩნევს, შაჰის ბრძანება რომ უნდა გადასცეს. ის ქართველი ბიჭი ელანდება, წინა დღეს რომ მივიდა „შაჰის მარჯვენა ხელთან“ და ისეთი სიტყვები უთხრა, ღამე ძილი აღარ მიკარებია - „ეგ დიდება დროებითია, საქართველო კი მარადიულია, ყველა ჩვენებურმა რაღაც უნდა გაუკეთოს სამშობლოს...გაივლის დრო, დავიწყებას მიეცემა ეგ დიდება და როგორ მოგიხსენიებენ, მაგაზე იფიქრე“.

დრო გასულა, უნდილამეების დიდება თან წაუღია, ალავერდი ხანის ბიუსტზე წარწერა, რომელიც მის „ქართულ წარმომავლობას გვამცნობდა...აქაურებს დაუზიანებიათ და აღარ იკითხება“.

ყველაფერი მთავრდება და წიგნიც მთავრდება „ცრემლიანი ეპილოგით“. ცოტა დრო იყო ამ ურთიერთსიყვარულის გასამჟღავნებლად, სულ ერთი დღე, რომელმაც გადაატრიალა ავტორის ცხოვრება: „ქართველი ვიყავი, მაგრამ უფრო გავქართველდი“, საბედნიეროდ, ყველაფერი ჩაიწერა, გადაიღო, წიგნიც დაწერა და ამით წარმოთქვა ფერეიდნელი ქართველების დასალოცი სადღეგრძელო.

წიგნს ანათებს ის სხივი, რომელიც თამარ ფანიაშვილს უკრთის თვალებში და რომელიც არც ერთი სხვა ეროვნების ადამიანს არ აქვს ქართველის გარდა და რომ „ეს ამბავი მარადიულია, ვერა გაჭირვება, ვერა ტანჯვა, ვერა შიმშილი, ვერა სამშობლოსგან მოწყვეტა ვერ აქრობს; როცა ქართველად ჩნდები, ეს სხივი შენს თვალებში სახლდება, მერე გადადის შვილებზე, შვილიშვილებზე“. ასეთია ავტორის და თითოეული ქართველის რწმენა.

ეს სხივი უკრთის უკვე საქართველოში ჩამოსულ, ატენის სიონის საკურთხეველის წინ სანთლებით ხელში მდგომ თამარ ფანიაშვილს, რომელიც გულში ფიქრობს: „როგორი უბედური კაცია შაჰ-აბასი. ქართველები გადმოგვასახლა, უდაბნოში მიმოფანტა, ეგონა რო ამით დაამთავრებდა ჩვენს არსებობას, ჩვენ, კი... და გულიანად კისკისებს, რადგან ანგარიში გაუსწორა „ქართველთა მოძულე აბასს“. თან საკუთარ „მეს“ ესაუბრება: „ჩამოვალ, ჩამოვალ, აბა, იქ რა მინდა, შვილებსაც წამოვიყვან და წამოვალ, არ მინდა მთელი ცხოვრება ტკივილში გავატარო“. ასეთივეა ბევრი ფერეიდნელი ქართველის ოცნება.

ბოლოს, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ნოველას „პატრიარქის სტუმრობა“. (და რადგან ტერმინი „ნონფიქშენი“ ტექსტისადმი შემფასებლობითი დამოკიდებულების პრეტენზიას არ ამჟღავნებს, დავარქვათ მას მხატვრული „ნონფიქშენი“), რომელშიც ავტორი აგრძელებს გზას იმ ქართველი მწერლებისა, რომლებიც „არაჩვეულებრივი ოსტატობით მოგვითხრობენ.....ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებზე, ისტორიული პიროვნებების შთამბეჭდავ გარეგნულ და შინაგან (სულიერ) პორტრეტებს ქმნიან“. როგორც მამას ისე ენატრება პატრიარქს ოთხასი წლის წინ ფერეიდანში გადასახლებული ქართველები, ბევრი წაუკითხავს მათ შესახებ, საქართველოში ჩამოსულებიც უნახავს, და აი, მიდის მათ მოსაზრებულბლად: „მიდიოდა პატრიარქი ფერეიდანში და თან მისდევდნენ ანგელოზები“. ფერეიდნელებიც სიხარულით ხვდებიან: „ჩონი პატრიარქ,

ჩონი კაცი“. ეხვევიან გარს და „ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს პატრიარქის შეხებისთანავე საქართველოსი დაბრუნების, სამშობლოს მონატრების სურვილი აუხდებოდათ“. პატრიარქს კი ცრემლი უბრწყინავს თვალებში და უფალს ავედრებს ფერეიდნელ ქართველებს.

ასე აისახება საქართველოს ისტორიის ერთი ტრაგიკული მომენტი ქართულ დოკუმენტურ პროზასა და მენიერულ- მხატვრულ ნარკვევებში.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :

- 1.ასათიანი გურამ, „სათავეებთან“ თბ., 1982წელი.
- 2.ბაქრაძე აკაკი, თხზ. სრული კრებული, ტ.VII, თბ., 2006წელი.
- 3.თეიმურაზ I, თხზ. სრული კრებული, პირველი გამოცემა, თბ., 1934წელი.
- 4.ნატროშვილი თამაზ, „მაშრიყით მაღრიბამდე“, თბ., 1978წელი.
- 5.ნატროშვილი თამაზ, „წელი ერთი და ათასი“, თბ., 1988წელი.
- 6.სოსიაშვილი გიორგი, „ვერცხლის ყვავილები“, თბ., 2015წელი.
- 7.ჟურნალი „ცისკარი“, #5, 2015წელი.

ფიქრები გიორგი სოსიაშვილის ახალი წიგნის („მესაფლავენი“) კითხვისას.

დარდის და ტკივილის საუფლოს მკვიდრია გიორგი სოსიაშვილი. ამ საუფლოში ცხოვრობს. აბა სხვა რა ვუწოდოთ იმ განცდას, შვილის დაბადების დღესაც რომ ვერ მოუღხენია და ივლისის ცხელ დღესაც არ აძლევს თავს გაღაღების უფლებას. დახედავ თუ არა გარეკანზე სათაურს და სურათს, მიხვდები რა ტკივილები, რა განცდები გელის კითხვისას, მაგრამ მაინც ნიჰილიზმი შემოგეპარება და ეჭვის ჭია გღრღნის, თუ „ცხოვრება გაცვდა, ვით ძველი გროში“, ამ სამდღიანი ომის თემა აღარ გაცვდა? თითქოს ამდენი რამ დაიწერა და ითქვა, თუნდაც თვითონ წიგნის ავტორის მიერ და იქნება აქ, ამ ახალ მოთხრობაში ისეთი რამ-სულით-ხორცამდე შეგძრას და აგაფორიას?

ლიტერატურაში ხშირად საუბრობენ „მწერლურ პატიოსნებაზე“. ეს ის ფენომენია დავით კლდიაშვილს რომ არ აძლევს უფლებას ქართლში და კახეთში გადაიყვანოს თავისი გმირები, თუმცა მისი ყოვლისმომცველი ნიჭი იმის საფუძველს იძლევა, ამასაც გასწვდეს, მაგრამ მას იმერეთი სტკივა და უარით პასუხობს მეგობრებს, რომ საყვედურობენ - რატომ შემოიფარგლე მხოლოდ იმერეთითო.

ვინც გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებას ადევნებს თვალს კარგად ხედავს იმ ჟანრულ მრავალფეროვნებას, მის შემოქმედებას რომ ახლავს, მაგრამ მისი ბოლო ორი წიგნით კარგად გამოჩნდა, რომ არ სურს გიორგი სოსიაშვილს „ტკივილის საუფლოდან“ გასვლა. ან როგორ ჩატოვოს იქ ღვთის ანაბარად ნიკო და ნიკოს მსგავსი ადამიანები, რომელთაც ამდენი წლის გასვლის შემდეგაც სულ ეტირებათ, მაგრამ „ცრემლიც ამოშრობიათ სულის ჭაში“.

„მესაფლავენი“ ავტორის აზრით მოთხრობაა - „მოთხრობა ომსა და ადამიანურ ურთიერთობებზე“, მე კი ნოველად აღვიქვი იქ მოთხრობილი ამბავი. „ნოველა-ერთი უჩვეულო შემთხვევა“(გოეთე). უფრო ზუსტად - შემთხვევა, რომელიც სინამდვილეში შეიძლება მოხდეს, მაგრამ ავტორი თავისი მოულოდნელი დასასრულით ცდილობს ახსნას „ის რთული ფენომენი ადამიანის შინაგან ბუნებასა და იმ მდგომარეობას შორის რომ არის, რომელშიც ზედსაწიერის მიერ ვართ ჩაყენებული“.

ღმერთის ნებად მიიჩნევენ თავსდატეხილ უბედურებას „კორპუსებში“ გამოკეტილი ლტოლვილები და ის გამონათებები, ნიკოს გაუსაძლის ყოფას რომ ააფორიაქებს ადგილ-ადგილ, ყველას ვერ გასწვდება. უმეტესობა მიტოვებული საფლავებისა მოუვლელია, აღდგომა დღეს სასაფლაო ცარიელია, ლტოლვილთა სახლები გაძარცვული და დანგრეულია და ნახეთ რა ძალისხმევს ფასად აკეთებს ოსი კაცი იმ ყველაფერს, რაზეც გვიყვება ავტორი, ჯანმრთელობის ფასად. ასეთები ერთეულებია, მაგრამ ხომ არიან. ამას დანახვა უნდა, ოსტატურად და დამაჯერებლად დახატვა უნდა, რომ ვინმემ დაგიჯეროს, თორემ სახალისო თემას რა გამოლევს. აკი ამას წინათ დაგვპირდა იმ კურიოზზე, მე და ჩემს სტუდენტებს რომ შეგვემთხვა-მაგას სულ მალე ჩემს მოთხრობაში გამოვიყენებო, მაგრამ არა, 2017 წლის ზაფხულში ისევ ომის თემის ერთგული დარჩენილა და თუმცა ორივე წიგნში ვეძებ, სახალისო ვერაფერი ვნახე. კვლავ ცხოვრებისეული ტკივილები, კვლავ „გროტესკული რეალიზმის ნიმუშები“.

კითხულობ მოთხრობებს და ხედავ, რომ პერსონაჟების სახეს „ღიმილი აღარ ეკარება“, და თუმცა „დამთავრდა ის წყეული ომი,...მაგრამ დაუსრულებელი გახდა ის რამდენიმე დღე“. და ამათაც ხომ პატრონობა უნდათ, ლტოლვილებს, ვიღაც მათ ბედზეც ხომ უნდა დარდობდეს, მათთან ერთად განიცდიდეს იმ ახალ პრობლემებს, დრომ რომ მოიტანა.

როგორ გინდა გახვიდე ამ საუფლოდან, ამის ნებას არც შინაგანი მე და არც მწერლური პატიოსნება არ მოგცემს.

ჯერ ისევ კეთილი ადამიანების სურვილად რჩება, რომ „გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებები უნდა ითარგმნოს, დაიდგას, ფილმებად იქცეს“, თუ გვინდა დავიბრუნოთ „სამშობლო სამშობლოში“.

არადა, ალბათ, მარტო ალბომის დახატვას როგორი ძალისხმევა სჭირდება, ძაღლის წინ გადაშლილი ალბომისა.

მ ც ი რ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა

გიორგი სოსიაშვილის წიგნი „გამორთული მთვარე“, მასში შესული მოთხრობების შინაარსს თუ გავითვალისწინებთ, თავისუფლად შეიძლება შეფასდეს იმ სიტყვებით, ნობელის პრემიების მიმნიჭებელმა კომიტეტმა რომ შეაფასა პატრიკ მოდიანო - ნობელის პრემიის ლაურეატი 2014 წელს: „**ხსოვნის ხელოვნების დიდოსტატი, რომელიც ღრმად ჩაწვდა ადამიანის ბუნების უფაქიზეს შრეებს და წარმოაჩინა მათი ცხოვრების რთული და მძიმე ხვედრი ოკუპაციის დროს**“.

რა თქმა უნდა, პატრიკ მოდიანო და გიორგი სოსიაშვილი არ განიხილება ერთ სამწერლო არეალში, არც მეორე მსოფლიო ომი და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომები შეედრება ერთმანეთს თავისი მასშტაბებით, მაგრამ-ომი ომია და მისგან გამოწვეული ბოროტებაც-იქნება ეს ლტოლვილად ქცევა საკუთარ მიწაზე, თუ ოკუპაციის მძიმე წლები და მისგან გამოწვეული უღონობა, ერთნაირად აწუხებს ფრანგ და ქართველ მწერალს.

საოცარია, მაგრამ არის ერთი, არც თუ ისე მცირე განსხვავება - პატრიკ მოდიანო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელს დაბადებულია და ამის მიუხედავად, ისე ითავისებს ყოველივეს, რაც ამ ომში მოხდა, რომ უმაღლესი ლიტერატურული პრემიის მინიჭება საფრანგეთს სრულიად არ უკვირს, პირიქით, ძალიან კანონზომიერად მიაჩნია.

აქ, კი, ამ წიგნში, მწერლის თვალწინ ხდება და დღემდე გრძელდება ყველაფერი ის, რაც მოთხრობებში ასახულა-იქნება ეს ომის უმძიმესი დღეები, თუ შემდგომი - ოკუპაციით გამოწვეული უღონობა, რომელიც ერთნაირად აწუხებს ადამიანს და უპატრონოდ დარჩენილ პირუტყვს.

როცა სადმე მიდის და ეკითხებიან - რატომ შვილებიც არ წამოიყვანეო, პასუხობს-ვინმე ხომ უნდა დარჩეს სახლში, რომ დაუხვდეს რუსებს და არ შემოუშვასო. ასეთია მთელი წიგნის პათოსიკი. და ეს არ არის პოზა. ეს არის მწერალ გიორგი სოსიაშვილის ცხოვრების წესი.